საქართველოს

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო

სამუშაო ვერსია

სარჩევი

I. შესავალი 2
II. უმაღლესი განათლების სისტემის აღწერა 3
III. კვალიფიკაციის აღმწერები 4
IV. მისანიჭებელი კვალიფიკაციები 7
დანართი 1 უმაღლესი განათლების სისტემის სქემა 9

I. შესავალი

„ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების კონვენციით“ (ლისაბონის კონვენცია), რომელსაც საქართველო 1997 წელს მიუერთდა, უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია არის ფორმალურად დადასტურებული სწავლის შედეგი. ევროპის სახელმწიფოთა უმაღლესი განათლების კურატორი მინისტრების 2005 წლის ბერგენის სამიტზე დამტკიცდა „კვალიფიკაციების ჩარჩო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის“ (კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო).

კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო აღწერს უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სწავლის შედეგებს 5 კრიტერიუმის საფუძველზე:

- ცოდნა და გაცნობიერება;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- არგუმენტირებული დასკვნის უნარი;
- კომუნიკაციის უნარი;
- სწავლის უნარი.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განისაზღვრება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზანია:

- ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა;
- სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალისათვის არსებული კვალიფიკაციების გაგების გაადვილება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;
- სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების საფუძვლის შექმნა;
- საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესადარობის უზრუნველყოფა, ასევე კვალიფიკაციების ცნობის პროცესის გაადვილება;
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღწერას სწავლის შედეგების საფუძველზე.

ცალკეულ დარგში სწავლის შედეგები კონკრეტდება წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული დარგობრივი სტანდარტის მეშვეობით, რომელიც აღწერს შესაბამისი საფეხურისა და სპეციალობის კვალიფიკაციის მფლობელის კომპეტენციებს.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ძირითადი პრინციპებია: გამჭვირვალობა, დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა და კონსენსუსი. 2007-2009 წლებში დოკუმენტის სამუშაო ვერსია განთავსებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო გამოთქმული შენიშვნები შეჯერდა სამ ეროვნულ სადისკუსიო შეხვედრაზე.

II. უმაღლესი განათლების სისტემის აღწერა

1. სახელმწიფო პოლიტიკას განათლების სფეროში ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სახელმწიფო ცნობს მხოლოდ აკრედიტებული ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი.

3. საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია:

ა) კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას ან/და აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

გ) უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) ან დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე (ქვესაფეხური პირველი საფეხურის ფარგლებში) დაშვება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების, ხოლო მეორე საფეხურის პროგრამაზე – ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ შემთხვევაში.

6. ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი.

7. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დაიშვება სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირი.

8. საქართველოში არსებობს უმაღლესი განათლების სამი საფეხურის კვალიფიკაცია.

საფეხური	**უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო**	**კვალიფიკაციის სახელწოდება**	**სასწავლო დატვირთვა კრედიტებში**	**კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი**

III საფეხური - **დოქტორანტურა**	III საფეხური	დოქტორი	180	დოქტორის დიპლომი
II საფეხური - **მაგისტრატურა**	II საფეხური	მაგისტრი; დიპლომირებული მედიკოსი; დიპლომირებული სტომატოლოგი; დიპლომირებული ვეტერინარი	120 360 300 300	მაგისტრის დიპლომი მედიკოსის დიპლომი; სტომატოლოგის დიპლომი; ვეტერინარის დიპლომი
I საფეხური - **ბაკალავრიატი**	I საფეხური	ბაკალავრი	240	ბაკალავრის დიპლომი
დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა		დიპლომირებული სპეციალისტი	120 – 180	სპეციალისტის დიპლომი

9. პირველი საფეხურის ფარგლებში არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა.

10. მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საბაკალავრო პროგრამისგან დამოუკიდებლადაც – სასერტიფიკატო პროგრამის სახით. კურსდამთავრებულს ენიჭება მასწავლებლის სერტიფიკატი. სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს განათლების მაგისტრის 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით.

11. სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარიული განათლება არის ინტეგრირებული განათლება და თავისი სწავლის შედეგებით უთანაბრდება მეორე საფეხურს.

12. უმაღლესი განათლების საფეხურები/ქვესაფეხურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები დაკავშირებულია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის კრედიტებთან.

III. კვალიფიკაციის აღმწერები

1. კვალიფიკაციის აღმწერი განსაზღვრავს შესაბამის საფეხურზე/ქვესაფეხურზე მისაღწევ განზოგადებულ „სწავლის შედეგებს“, ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა საფეხურის კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს მათ შორის ლოგიკურ კავშირს.

2. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დაკონკრეტება/ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე საგნისა თუ მოდულის „სწავლის შედეგები“ აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.

3. უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურის (ასევე ქვესაფეხურის) სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას.

4. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის და ასევე პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული კვალიფიკაციის სწავლის შედეგები დაფუძნებულია სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებზე.

5. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული კვალიფიკაციის (დიპლომირებული სპეციალისტი) აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს დარგის მთავარი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა, რაც პროფესიული საქმიანობისა და პიროვნული განვითარების საფუძველია; აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობასა და სათანადო ეთიკურ ნორმებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შესაბამისი თეორიული კონცეფციების პროფესიულ გარემოში გადატანა და საქმიანობა სტანდარტული და აპრობირებული მეთოდების გამოყენებითა და ეთიკური ნორმების დაცვით.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	თავისი პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხოურ ენაზე; იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის პროფესიული თვალსაზრისით.
სწავლის უნარი	შეუძლია სწავლის გაგრძელება დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.

6. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს დარგის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ძირითად პრინციპებს, თეორიებს, კონცეფციებსა და მეთოდებს, ასევე ზოგიერთ გამორჩეულ ან ახალ ასპექტს; აცნობიერებს დარგის საერთო სტრუქტურასა და ურთიერთკავშირებს ქვედარგებს შორის.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია დარგისთვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენება, მათ შორის პრობლემების გადაჭრის მიზნით; შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით.

დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია დარგის შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება; ახალი და განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, რომელიც ასახავს შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო და ეთიკურ საკითხებს.
კომუნიკაციის უნარი	კომუნიკაცია დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე (პრობლემები, იდეები, გადაჭრის გზები) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხოურ ენაზე; პროექტის/ნაშრომის დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა; დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება.

7. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ უახლეს ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, /ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.
დასკვნის გაკეთების უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს, რომელშიც განისაზღვრება ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხოურ ენაზე; შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.
სწავლის უნარი	შეუძლია, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა.

8. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნა, რომელიც საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა; სრულად ფლობს სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ კვლევას; შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.
კომუნიკაციის უნარი	რთული და სადავო ინფორმაციის და ეფექტური გადაცემა კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით, მათ შორის უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაციები

1. „ბაკალავრი“ გამოიყენება პირველი, „მაგისტრი“ მეორე და „დოქტორი“ მესამე საფეხურის აკადემიური ხარისხის აღსანიშნად.

2. „დიპლომირებული სპეციალისტი“ აღნიშნავს პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული ქვესაფეხურის კვალიფიკაციას. ამასთან, ტერმინი „აკადემიური ხარისხი“ არ გამოიყენება.

დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დიპლომირებული სპეციალისტი“ და დარგს/ქვედარგს.

3. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს ჰუმანიტარულ, სოციალურ, საბუნებისმეტყველო, ზუსტ, კომპიუტერულ ან საინფორმაციო მეცნიერებების „ბაკალავრს“ შესაბამისი დარგის მითითებით. საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (არანაკლებ 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:

- ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტების კონცენტრაცია;

- ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტების კონცენტრაცია;
- ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

4. პირველი საფეხურის გამოყენებითი ხასიათის იმ საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება, რომელიც არ ხორციელდება მესამე პუნქტით გათვალისწინებულ მეცნიერების მიმართულებაში, მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი დარგის მითითებით.

5. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „მაგისტრი“ შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო და/ან პრაქტიკულ კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს.

6. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი“ მიმართულების ან დარგის/სპეციალობის მითითებით. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.

7. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაციებია:

განათლების მიმართულებით:
- ა) განათლების ბაკალავრი კორექციულ პედაგოგიკაში,
- ბ) განათლების ბაკალავრი სკოლამდელ აღზრდაში,
- გ) განათლების ბაკალავრი დაწყებით განათლებაში,
- დ) განათლების მაგისტრი (საგნობრივი მიმართულება),
- ე) მასწავლებლის მომზადების პროგრამა,

სამართალმცოდნეობის მიმართულებით:
- ა) სამართალმცოდნეობის ბაკალავრი,
- ბ) სამართალმცოდნეობის მაგისტრი,

მედიცინის მიმართულებით:
- ა) დიპლომირებული მედიკოსი,
- ბ) დიპლომირებული სტომატოლოგი,
- გ) დიპლომირებული ვეტერინარი,

სოციალური საქმიანობის მიმართულებით:
- ა) სოციალური საქმის ბაკალავრი,
- ბ) სოციალური საქმის მაგისტრი.

დანართი 1 უმაღლესი განათლების სისტემის სქემა